ხელშეკრულება №29

კასპი 6.02.2017 წელი

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება, შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის, მანანა ხვთისიაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს დებულების საფუძველზე ერთის მხრივ და ი/მ „მამუკა გიგილაშვილი“ შემდგომში „მომწოდებლად" წოდებული, წარმოდგენილი მამუკა გიგილაშვილის სახით, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ი/მ „მამუკა გიგილაშვილ“-მა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებასა“ და მის დაქვემდებარებაში შემავალ 26 საბავშვო ბაღს მოაწოდოს საღებავები,ლაქები,მასტიკები .

2. შესრულებული სამუშაოს ვადები და ღირებულება

2.1. საქონლის შეძენა ხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.
2.2. მთლიანი ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.
2.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება სასაქონლო ზედნადების ან ანგარიშფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, რომელიც დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერით.
2.4 მოწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
3.2 ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
3.3 ანგარიშსწორება წარმოებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მითითებული რვანიშნა კოდით: 44800000 (44831000)
3.4 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოახდინოს ანგარიშსწორება ნაწილობრივ.
3.5 ანგარიშსწორება მოხდება გადარიცხვით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2. გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
4.3. „მომწოდებელს '' უფლება აქვს:
4.4. მოსთხოვოს „შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულებით შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1. „შემსყიდველი '' უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია, შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნებთან.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 31.01.2018 წლამდე.

8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10. დავათა განხილვის წესი.

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
„კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი
აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება“
მისამართი: კასპი, სააკაძის ქ. №68
ს/კ 232559781
ტელ: 577 16 70 05

დირექტორი: მ. ხვთისიაშვილი

„მომწოდებელი“
ი/მ „ მამუკა გიგილაშვილი“
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 24001024150
მისამართი: კასპი სააკაძის ქ.#64
ა/ნ GE39LB0112142113450000
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ ბ/კ LBRTGE22
ტელ: 599 40 44 75

მამუკა გიგილაშვილი